





შოთა მესხიას ბუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მცირე ბიზნესის სამაგისტრო საგანმანათლებლო
პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვა



მოკლე მიმოხილვა

კვლევის მიზნები და ამოცანები

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა ჩატარდა 2023 წლის გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში. კვლევა ჩატარდა ხარისხის სამსახურისა და სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების სამსახურის მიერ.

კვლევის მიზანი: სტუდენტთა კმაყოფილების დადგენა საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში

კვლევის ამოცანები:

სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა შემდეგი საკითხების გარშემო


- პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია
- შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისობა პროგრამასთან
- აკად-პერსონალის კვალიფიკაცია
- სტუდენტის მხრიდან დანახული შრომის ბაზარზე კონკურენციის გაზრდის მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები
- ადმინისტრაციის მომსახურებით კმაყოფილება
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

კვლევის მიზნისა და ამოცანების მისაღწევად გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რომელიც საფუძვლად დაედო კვლევის ინსტრუმენტის (კითხვარის დიზაინს) შემუშავებას. სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა გამოკითხვის, კერძოდ კითხვარის გამოყენებით. შერჩევის ერთობლიობა 10 რესპონდენტი რაც სტუდენტთა საერთო რაოდენობის 62 % პროცენტია.

შედეგები

1. რატომ გადაწყვიტეთ ამ პროგრამაზე ჩაბარება?

10 responses




- მალთან ბევრი ინფორმაცია მაქვს დასაქმების შესაძლებლობების შესახებ
- მომწონს აღნიშნული საქმიანობა და დარგი
- არ ვიცი, იყო ადგილები და ჩავაბარე
- ყველაზე საინტერესო სწავლის შედეგები აქვს

კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტებს გაცნობიერებული აქვთ თუ რამდენად მაღალია მცირე ბიზნესის მართვის პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პროგრამით ინტერესდებიან მოტივირებული სტუდენტები, რომლებსაც გააზრებულად აქვთ კარიერული არჩევანი გაკეთებული.

2. პროგრამის სწავლის შედეგები აკმაყოფილებს თუ არა ბაზრის მოთხოვნებს?

10 responses




- არ ვარ კომპიუტერული გავცე პასუხი ამ კითხვას
- საკმაოდ კარგად ვიცი ბაზრის მოთხოვნები და უზუსტად მას ემსახურება
- აკადემიური პერსონალის გამოცდლებზე დაყრდნობით ვენდობი
- საჭიროა სწავლის შედეგებისა და ბაზრის მოთხოვნების მუდმივი გადა...

პროგრამის სწავლის შედეგების კმაყოფილების კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტებში პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიმართ ნდობის მაჩვენებელი მაღალია, თავად აკადემიური პერსონალი იცნობს პროგრამის სწავლის შედეგებს და უზიარებს მათ ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამდენად სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას დამსაქმებლის მოთხოვნების შესახებ, რასაც ადასტურებს დიაგრამაზე მოცემული მაჩვენებლები (60 % და 20%), ჯამში

გამოკითხულთა 80 % კმაყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების თავსებადობით შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

3. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და ცოდნა(თეორიული და პრაქტიკული) რამდენად სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას?

10 responses




- მათი შესაძლებლობები სწავლა სწავლების პროცესში აბსოლუტურად სწავლის შედეგების სრულყოფისკენა...
- არ მაქვს პასუხი
- მეტი შრომის ბაზარზე უკვე დასაქმებული პერსონალი შეავსებდა პროგრამას
- უნივერსიტეტს უკვე არა ერთი პროგრამის ფარგლებში აქვს დამტკიცებული თავისი აკად პერსონალი

მთლიანობაში კვლევამ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციისა და ცოდნის შესახებ შეფასების მაღალი დონე აჩვენა. მხოლოდ ერთი რესპოდენტი უთითებს მეტი პრაქტიკული გამოცდილების მქონე კადრის საჭიროებას.

4. შრომის ბაზარზე თქვენს მეტ კონკურენტუნარიანობასა და დასაქმებას რა შეუწყობდა ხელს?

10 responses




- არ მაქვს ამის შესახებ ჯერ ინფორმაცია
- შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან შეხვედრები, კურიკულუმს გარე აქტივობების სახით
- ყველაფერი გაკეთებულია ამ მიმართულებით უნივერსიტეტის მხრიდან
- უმაღლესი განათლების დიპლომის ქონა

გამოკითხულთა 60 % ადასტურებს, რომ დასაქმების ხელშეწყობისა და შრომის ბაზარზე პოზიციონირებისთვის უნივერსიტეტს ყველა ღონისძიება აქვს განხორციელებული, თუმცა სამი რესპოდენტი თვლის, რომ საჭიროა უფრო მეტად მოხდეს დამსაქმებელთა მოზიდვა, რათა გაიზარდოს მათი დასაქმების შესაძლებლობები.

5. საგანმანათლებლო პროგრამის რომელ კომპონენტს გააძლიერებდით?

10 responses




- ონლაინ სწავლებას
- საბოლოო პროექტს, ნაშრომს
- პრატიკულ კომპონენტს
- თეორიულ ცოდნას
- შეფასების სისტემას
- სწავლა-სწავლების მეთოდებს
- არცერთს

კითხვაზე თუ საგანმანათლებლო პროგრამის რომელ კომპონენტს გააძლიერებდით, რესპოდენტთა 60 % ონლაინ სწავლებას ამჯობინებს, რაც აიხსნება იმით, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი დასაქმებულია და ეს გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პროგრამის მაღალ მოთხოვნას.

6. რამდენად კმაყოფილი ხართ ურთიერთობებით ადმინისტრაციასთან მათი მომსახურების ხარისხით


10 responses




- მაღიან უკმაყოფილო
- უკმაყოფილო
- მეტ-ნაკლებად უკმაყოფილო
- კმაყოფილი
- მაღიან კმაყოფილი

როგორც დიაგრამიდან ჩანს ადმინისტრაციის მომსახურებით კმაყაფილება მაღალია სტუდენტებში.

7. სასწავლებელს აქვს სასწავლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვისთვის საკმარისი აუდიტორიები?
10 responses



8. სასწავლებლის ლაბორატორიები აღჭურვილია შესაბამისი რესურსით
10 responses



როგორც დიაგრამებიდან ჩანს, რესპოდენტებში ძალიან მაღალია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით კმაყოფილების დონე. რასაც ადასტურებს ასევე უნივერსიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები

სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გამუმჯობესების მიზნით

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები



საკმაოდ მაღალი იყო სტუდენტთა ჩართულობა გამოკითხვაში. წინამდებარე კვლევა იძლევა იმის საშუალებას, რომ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები განსახილველად გადაეცეს პროგრამის ხელმძღვანელებს და მოეწყოს მისი სიღრმისეული განხილვა „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფში.

1. სტუდენტები საერთო ჯამში კმაყოფილი არიან პროგრამის სწავლის შედეგებით, და აფიქსირებენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს დასაქმებას. სტუდენტები პრიორიტეტს ანიჭებენ ონლაინ სწავლებას. სასურველია ამ მიმართულებით დაიწყოს ელექტრონული სწავლების კონცეფციებისა და სტანდარტების შესწავლა და შესაძლებლობების შეფასება. ამასთან ერთად მიზანშეწონილია უფრო მოქნილი, ინდივიდუალური გრაფიკების შემუშავება, ლექციების დადგენვა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომ დროს.
2. სტუდენტები საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევენ უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობას. გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა აცხადებს რომ კმაყოფილები არიან პერსონალის მუშაობით და მათთან ურთიერთობის გამოცდილებით.
3. შეფასებისას საკმაოდ მაღალია სტუდენტების კმაყოფილება უნივერსიტეტის მატერიალურ ტექნიკური ბაზის - სასწავლო აუდიტორიების, ლაბორატორიებისა და საბიბლიოთეკო რესურსების მიმართ.



შოთა მესხიას ბუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მცირე ბიზნესის სამაგისტრო საგანმანათლებლო
პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა



მოკლე მიმოხილვა

კვლევის მიზნები და ამოცანები

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა ჩატარდა 2023 წლის გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში. კვლევა ჩატარდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების სამსახურის მიერ.

კვლევის მიზანი: კურსდამთავრებულთა კმაყოფილების დადგენა საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში

კვლევის ამოცანები:


- დასაქმების მაჩვენებელი
- სპეციალობით დასაქმების მაჩვენებელი
- დასაქმების ადგილი
- მათი რეკომენდაციები პროგრამასთან მიმართებაში

კვლევის მიზნისა და ამოცანების მისაღწევად გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რომელიც საფუძვლად დაედო კვლევის ინსტრუმენტის (კითხვარის დიზაინს) შემუშავებას. სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა გამოკითხვის, კერძოდ კითხვარის გამოყენებით. შერჩევის ერთობლიობა 15 რესპონდენტი რაც კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობის 60 % პროცენტია.

შედეგები


1. დამთავრების წელი

15 responses



2. ხართ თუ არა დასაქმებული?


14 responses



ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ კურსდამთავრებულთა 93 % დასაქმებულია, რაც მიუთითებს შრომის ბაზრის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულების მაღალ მოთხოვნაზე.

3. ხართ თუ არა დასაქმებული კვალიფიკაციის შესაბამისად?


15 responses



რაც შეეხება სპეციალობით დასაქმებას, ამ შემთხვევაში საშუალოზე მაღალი მაჩვენებლია, რაც ასევე ადასტურებს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას.


4. სად ხართ დასაქმებული

15 responses



საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ყველა კურსდამთავრებული სამაგრელოს რეგიონშია დასაქმებული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რეგიონის განვითარებაში უნივერსიტეტის როლსა და აღნიშნულ სპეციალობაზე მაღალ მოთხოვნას.

5. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კომპეტენციებიდან ყველაზე მეტად რა გამოგადგათ პროფესიულ საქმიანობაში?
15 responses



კვლევის ფარგლებში, გამოკითხულებმა დაასახელეს ის კომპეტენციები, რაც მათ პროფესიულ საქმიანობაში ყველაზე მეტად გამოადგათ. კვლევამ აჩვენა, რომ თეორიულ ცოდნასთან ერთად დარგობრივი უნარ-ჩვევები წამყვან ფაქტორს წარმოადგენს. შესაბამისად, თეორიული მეცადინეობებისა და დარგის გამოცდილების მიღება ვაკანტურ ადგილებზე მიმართვის დროს, წამყვან ფაქტორებს წარმოადგენს.

6. რა უნდა შეიცვალოს ,დაემატოს საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამას, რომ დამსაქმებელს არ მოუწიოს დამატებითი კომპეტენციების შექმნა?
15 responses



უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 40 % თვლის, რომ კარგი იქნება მოხდეს სასწავლო კურსების შინაარსობრივი გადახედვა. 46.7 % კმაყოფილია პროგრამით და არ თვლის საჭიროდ ცვლილებების განხორციელებას. გამოკითხულთა მცირედი ნაწილი რეკომენდაციას უწევს სტაჟირების პროგრამის განხორციელებას.

კომენტარი 2 responses

საქმიანობის დროს დამჭირდა მასალებისა და ა გარკვეული ინფორმაციების მართვა, თუ არის შესაძლებელი ამ მიმართულებით დაემატოს პროგრამას რაიმე საგანი

კარგი იქნება თუ რამდენიმე ბიზნეს მოდელზე გაივლიან სტუდენტები პრაქტიკულ სწავლებას, რაც უფრო დაახლოვებს მათ რეალურ სამუშაო გარემოსთან

კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გამუმჯობესების მიზნით

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

საკმაოდ მაღალი იყო კურსდამთავრებულთა ჩართულობა გამოკითხვაში. წინამდებარე კვლევა იძლევა იმის საშუალებას, რომ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები განსახილველად გადაეცეს პროგრამის ხელმძღვანელებს და მოეწყოს მისი სიღრმისეული განხილვა „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფში.

1. კურსდამთავრებულები საერთო ჯამში კმაყოფილი არიან პროგრამის სწავლის შედეგებით, თუმცა ისურვენდნენ პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსობრივ გადახალისებას. მიზანშეწონილია პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა ელსევიერისა და სკოპუსის საერთაშორისო ბაზებიდან მოახდინონ უახლესი კვლევის შედეგების ასახვა სწავლების პროცესში, რაც მნიშვნელოვნად გადაახალისებს სასწავლო კურსებს.
2. რამდენიმე კურსდამთავრებულმა ხაზი გაუსვა ისეთი უნარ-ჩვევების საჭიროებას, როგორცაა ორგანიზაციაში ოპერაციების განხორციელების მართვა, ასევე აღინიშნა, რომ სასურველია ბიზნეს მოდელებით სწავლება, რათა პრაქტიკულად მოხდეს რესურსების სწორი გათვლა და პროდუქტის პოტენციური კლიენტების საჭიროებებზე მორგება.

